საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დამოუკიდებელი გაზეთი

ONLINE
599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru

რუსთავი

გაზეთი
გამოდის
1948 წლიდან

27
ივნისი 2024 წ.
№4
(109756)
ფასი 50 თეთრი

ამ დღეებში, ისე როგორც მთელი საქართველო, რუსთავიც ფეხბურთით ცხოვრობს!

გვ.-10

ნინო ლაცაბიძემ საქართველოს ურბანულ ფორუმზე რუსთავში მიმდინარე პროექტებზე და დედაქალაქის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის მოდერნიზაციაზე ისაუბრა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საცხოვრებელი ფართები კიდევ 21 ოჯახს გადაეცა საკუთრებაში

გვ.-3

პატარა ნინოს დიდი წარმატება

გვ.-9

მორიგი შეხვედრა რუსთავის წყალმომარაგების საკითხებზე

გვ.-2

რუსთავში მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ტრადიცია აღდგა

გვ.-3

რუსთავში ეკოლოგიური აქცია მოეწყო

გვ.-3

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

რუსთავში ახალი საუბნო საფეხბურთო მოედანი და სპორტული სივრცე გაიხსნა

ახალი სტადიონი რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ პატარა ფეხბურთელების იმ გუნდთან ერთად გახსნა, ვისი თხოვნითაც რამდენიმე თვის წინ, გრიგოლ ხანძთელის ქუჩაზე ახალი სტადიონის, საკალათბურთო მოედნისა და ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობა გადაწყდა.

,,ფეხბურთი დღეს არის სპორტის ის სახეობა, რომელზეც თითოეული პატარა ოცნებობს. რამდენიმე თვის წინ ბავშვებისა და მათი მშობლების მოთხოვნა იყო, რომ მათ სტადიონი ჰქონოდათ, რადგან სპორტული სივრცე სადაც ისინი წლების განმავლობაში ვარჯიშობდნენ, აღარ ჰქონდათ. ჩვენ 200-მდე ბავშვს ვერ დავტოვებდით უყურადღებოდ და მიხარია, რომ თვენახევარში შევძელით ახალი, თანამედროვე სტანდარტების საფეხბურთო მოედნის მოწყობა, სადაც ასობით ბავშვი, კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით ივარჯიშებს და მიაღწევს სასურველ მიზანს", - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

სტადიონის გახსნას, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა დაესწრნენ.

,,ბევრი კარგი სპორტსმენისა და ფეხბურთელის კარიერა ჩვენს ქალაქთანაა დაკავშირებული. საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელის კარიერის დასაწყისიც რუსთავთანაა დაკავშირებული. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტადიონზეც აღიზრდება მრავალი ღირსეული და ფეხბურთელი", - განაცხადა ირაკლი შატაკიშვილმა.

სტადიონის გახსნის შემდეგ, გრიგოლ ხანძთელის ქუჩაზე შეკრებილი პატარა ფეხბურთელები და საქართველოს ნაკრების გულშემატკივრები, ცენტრალური პარკისკენ მსვლელობით გაემართნენ, სადაც ,,ოქსიგენის" საფესტივალო სივრცეში თავმოყრილ თანაქალაქელებს შეუერთდნენ და ერთად უგულშემატკივრეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

საქართველოს ნაკრების თამაშების ღია ჩვენებისთვის სპეციალური სივრცე, რუსთავის მერიის ორგანიზებით არის მიწყობილი და ის ფეხბურთის გულშემატკივრებს 26 ივნისსაც უმასპინძლებს.

ნინო ლაცაბიძემ საქართველოს ურბანულ ფორუმზე რუსთავში მიმდინარე პროექტებზე და დედაქალაქის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის მოდერნიზაციაზე ისაუბრა

საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი თემაზე ,,სივრცითი დაგეგმარება და მდგრადობა" საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა.

მისი განცხადებით, ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ეროვნული სივრცითი მოწყობის კონცეფციაზე მუშაობა და მასში ასახული იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ამ კუთხით, ქვეყნის პრიორიტეტები.

თბილისში მიმდინარე საქართველოს ეროვნულ ურბანულ ფორუმზე რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ რუსთავის ურბანული განვითარებისთვის მიმდინარე პროექტებზე და დედაქალაქის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის მოდერნიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა.

ფორუმის გახსნის ღონისძიებაში, მონაწილეობა მიიღეს გაეროს განსახლების პროგრამის რეგიონთაშორისმა მრჩეველმა, კატია შაფერმა, სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსმა, იოანე მენაბდემ, საჯარო უწყებების და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დარგის ექსპერტებმა.

ღონისძიებას რუსთავის მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი კობა ძლიერიშვილი ესწრებოდა.

საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას" სივრცეში, ორი დღის განმავლობაში იმუშავებს.

ნინო ლაცაბიძე - საქართველოს ეროვნულ ურბანულ ფორუმზე, სადაც საქართველოს ქალაქების სივრცით დაგეგმარებაზე ვისაუბრეთ, რუსთაველებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვნეს საკითხზე- რუსთავიდან დედაქალაქის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის პრობლემაზეც გავამახვილეთ ყურადღება. გარკვეული ნაბიჯები ამ კუთხით დედაქალაქის მთავრობასთან ერთად უკვე გადადგმული გვაქვს და ვიმედოვნებთ, რომ სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზების გზით, შევძლებთ და ჩვენს მოსახლეობას ამ მიმართულებითაც შევუქმნით კიდევ უფრო კომფორტულ გარემოს

რუსთავის მერმა ამერიკის ქალაქ ორლანდოში გამართულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, აშშ-ის ქალაქ ორლანდოში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სამთავრობო ფინანსისტთა ასოციაციის 118-ე კონფერენციაზე, საჯარო ფინანსების საერთაშორისო ასოციაციის დაფუძნებაში მიიღო მონაწილეობა. დამფუძნებელ საბჭოში, აშშ-ის, კანადის, შვედეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ფინანსისტთა ასოციაციებთან ერთად, საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციაც (სათეფა) აირჩიეს.

კონფერენციას, გარდაბნის, ბოლნისის, ოზურგეთის მერები და საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საჯარო სექტორში მომუშავე ფინანსისტებმა, რომლებიც ასოციაციის შეკრებაზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს წარმოადგენდნენ, პროგრამული ბიუჯეტირების განვითარების და საჯარო ფინანსების შიდა კონტროლის გაუმჯობესების კუთხით არსებული გამოცდილებაც გაუზიარეს ერთმანეთს.

2024 წლის ბოლოს, საჯარო ფინანსების ასოციაციის წევრი ქვეყნების დელეგაციები, მომდევნო შეხვედრას, საქა-

მორიგი შეხვედრა რუსთავის წყალმომარაგების საკითხებზე

რუსთავის მერმა და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა, ,,ჯი ვი პის" წარმომადგენლებისგან, 2024 წლის 6 თვეში, რუსთავში განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს და მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

შეხვედრას, რუსთავის მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ ტაბაღუა, ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" და სემეკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამ ეტაპზე, კომპანია ,,ჯი ვი პი" სამუშაოებს მშვიდობის და გაგარინის ქუჩებზე აწარმოებს, სადაც 2,2 კილომეტრის სიგრძის მაგისტრალური ქსელი იცვლება. პროექტით, ჩამკეტ-მარეგულირებელი 17 ურდულის და 15 საკვანძო ჭის მოწყობაცაა გათვალისწინებული.

2024 წელს, ,,ჯი ვი პის" რუსთავში 18 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აქვს აღებული. უკვე განახლებულია ხრამი-რუსთავის ცენტრალური მაგისტრალის 2-კილომეტრიანი მონაკვეთი, სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია 10 სხვადასხვა ქუჩაზე

ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმს თბილისი მასპინძლობდა

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, თბილისში, დედაქალაქის მერიის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმში სახელწოდებით - ,,ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება“ რუსთავში განხორციელებული წარმატებული რეფორმების და პროექტების პრეზენტაცია წარადგინა.

ფორუმი დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გახსნა.

მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში სანია ჩელებიჩ ლუკოვაჩმა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონულმა მრჩეველმა, ჯანსაღი ქალაქების ევროპული ქსელის ხელმძღვანელმა კირა ფორუნიჩმა.

ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმი, სახელწოდებით - „ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება“, დედაქალაქის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ორგანიზებით ტარდება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საცხოვრებელი ფართები კიდევ 21 ოჯახს გადაეცა საკუთრებაში

მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია, მოსახლეობას ქალაქის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი შატაკიშვილთან და საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' წევრებთან ერთად გააცნო, მთავრობის განკარგულება გადასცა და შემდგომი პროცედურები განუმარტა.

ოჯახებს, რომლებსაც მთავრობის გადაწყვეტილებით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცათ ბინები საკუთრებაში, მხოლოდ საჯარო რეესტრის შესაბამისი რეგისტრაცია დასჭირდებათ. რუსთავში, ბოლო ორი წლის განმავლობაში დაკავებული საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში უკვე 700-მდე ოჯახს გადაეცა.

რუსთავში ეკოლოგიური აქცია მოეწყო

რუსთავში, ახალგაზრდების დასაქმების და ქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე პროექტის- ,,ახალი სიმწვანის“ ფარგლებში, ეკოლოგიური აქცია მოეწყო.

აქციის ფარგლებში, რუსთაველმა ახალგაზრდებმა, 9 ძმა ხერხეულიძის სახელობის ახლადრეაბილიტირებულ ქუჩაზე, რამდენიმე ათეული ახალი ნერგი დარგეს.

პროექტში- ,,ახალი სიმწვანე“ 18-დან 29 წლამდე ასაკის რუსთაველი ახალგაზრდები, ონლაინრეგისტრაციით ერთვებიან და ქალაქის გამწვანების სამსახურში, შესაბამისი ანაზღაურებით იწყებენ მუშაობას.

პროექტი - „ახალი სიმწვანე“, რუსთაველი ახალგაზრდების დასაქმების და ქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესებაში მათი ჩართვის მიზნით, ქალაქის მერიის ორი სამსახურის - „სახელოვნებო სპორტის და ახალგაზრდული ცენტრისა“ და „რუსთავსერვის ცენტრის“ თანამშრომლობით ხორციელდება.

რუსთავში მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ტრადიცია აღდგა

სიმპოზიუმს, საფუძველი, რუსთავში გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა.

ღონისძიების გახსნას, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში გიორგი დოხტურიშვილი, მსოფლიო სიმპოზიუმების გაერთიანების ხელმძღვანელი ლიუ იანგი, მოქანდაკეები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

რუსთავის პარკში მოწყობილ სიმპოზიუმის სივრცეში, დღეიდან 20 დღის განმავლობაში, 8 ქართველი და 5 უცხოელი - ბულგარელი,

სერბი, ჩინელი და ირანელი სკულპტორები იმუშავებენ.

მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმში, მოწვეული ხელოვანების სტატუსით, ცნობილი რუსთაველი მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია და მსოფლიო სიმპოზიუმების გაერთიანების ხელმძღვანელი ლიუ იანგიც ჩაერთვებიან.

სიმპოზიუმის სივრცე რუსთავის ცენტრალურ პარკში, სწორედ იმ ტერიტორიაზეა მოწყობილი, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, სიმპოზიუმის ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი.

რუსთავის პარკში მოწყობილ ღია სივრცეში, სკულპტურის შექმნის საინტერესო პროცესის დაკვირვებას 28 ივნისამდე ნებისმიერი მსურველი შეძლებს.

რუსთავი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელიც მსოფლიო სიმპოზიუმების გაერთიანების წევრია.

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის 3 კილომეტრიანი მონაკვეთის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა თბილისი-რუსთვის საავტომობილო გზის 3.3 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტირებაზე ტენდერი გამოაცხადა - ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

„თბილისი-რუსთავის 17 კმ-იანი საავტომობილო გზის დასრულებული 13.5 კმ-იანი მონაკვეთით ავტოტრანსპორტი 2018 წლიდან სარგებლობს. მოცემულ ეტაპზე, ტენდერი გამოცხადდა დარჩენილი 3.3 კმ-იანი გზის პროექტირებაზე.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ანალიზისა და მულტიფუნქციური შედარების საფუძველზე უნდა მოამზადოს ცემენტო ბეტონის საფარიანი, 4 ზოლიანი, განათების თანამედროვე სისტემით, კომუნიკაციებით, საგზაო უსაფრთხოების ყველა საჭირო ელემენტით აღჭურვილ საავტომობილო გზის დეტალური პროექტი, შესაბამისი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციით.

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის 3 კმ-იანი მონაკვეთი გადის ფონიჭალის დასახლებასთან, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა მაღალია და პიკის საათებში რთულდება საერთაშორისო მნიშვნელობის გზის გამართულად ფუნქციონირება.

ამასთან, მნიშვნელოვანია თბილისი-რუსთავის მაგისტრალური გზის უკვე ექსპლუატაციაში არსებული მონაკვეთების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება“ - ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

ტენდერის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=tenders/current_tenders/&id=5572

მწერლის უკვდავება

ადამიანი სამშობლოთი იწყება

დრო კოსმიური ცვალებადობის ეპოქაში უჩვეულოდ სწრაფად და დაუკითხავად გარბის, იცვლება მსოფლიო რუკა, იწყება და აღარ მთავრდება ომები, იცვლებიან ადამიანები, ღვთით ბოძებული ნიჭიერებით დაბადებული ადამიანები კი ჟამთასრბოლის მიუხედავად, უკვდავნი რჩებიან და არა მხოლოდ მშობლიურ ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს ახსენებენ, რომ მცირე თუ დიდი ერების უკვდავებისა და არგადაშენების გარანტი გამორჩეულ ადამიანთა სახელებიცაა გარდაცვალების შემდეგ.

ამჯერად ჩვენს ლეგენდარულ ნოდარ დუმბაძეს ეხება სიტყვაც და საქმეც იმ ღონისძიების გამოძახილით, რუსთავში შევჩენკოს ქუჩის 5-ში, აკადემიურ ქალაქში რომ ჩატარდა და არც მეტი, არც ნაკლები, მთლად საქართველოს მასშტაბი მოიცვა.

გავყვეთ მოვლენებს. საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირმა აკადემიური ქალაქის პედაგოგის მაკა სამხარაძის თაოსნობით 3-4 თვის წინ საქართველოს განათლების სამინისტროს ხელდასმით გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით – „იქნებ ვაზია სამშობლო“, ნოდარ დუმბაძის ამ ცნობილი და განუმეორებელი სლოგანით პროზაიკოსის შემოქმედების უკეთ გაცნობის მიზნით და რაღა თქმა უნდა, ამ სასიქადულო ქართველი მამულიშვილის მწერლური და მოქალაქეობრივი კრედოს დასტურით – „სამშობლო ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შემიძლია“.

ინფორმაციები საქართველოს ყველა რეგიონის განათლების რესურსცენტრებს გაეგზავნა. კონკურსში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეებს ჟიურის წევრებმა შესთავაზეს ჩანახატით, ლექსით, ესეთი, მინიატურით, ნახატით, – ნებისმიერი ჟანრული ფორმით გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება მწერლისა და მისი შემოქმედების მიმართ და გამოეგზავნათ აკადემიურ ქალაქში საკუთარი ვინაობის დამადასტურებელ განაცხადთან ერთად, დალოდებოდნენ კონკურსის შედეგების შეჯამებას, ერთდროულად, განცხადებაში მითითებული იყო, რომ გამარჯვებული მოსწავლეების ნაწერებით გამოიცემოდა წიგნი სახელწოდებით – „იქნებ ვაზია სამშობლო“.

და მოხდა გასაოცარი რამ: დედაქალაქში პოლიტიკური ვნებათაღელვისა და მიტინგების ჟამს, როცა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი დღედაღამ ქუჩაში იდგა, ამ პერიოდში საქართველოს ყველა რეგიონის საჯარო თუ კერძო სკოლის მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი დიდი ინტერესითა და მიზანსწრაფვით წერდნენ თემებს თავიანთი საყვარელი მწერლის, მისი ნააზრევის გააზრებისა თუ ზოგადად სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის შესახებ, ხატავდნენ საქართველოს პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ცნობილ ადამიანთა პორტრეტებს...

...მთელი საქართველოს მასშტაბით ათასობით მოსწავლემ გამოგზავნა თავისი შემოქმედებითი აზროვნების დასტური სხვადასხვა ჟანრული ფორმით. კოლოსალური რაოდენობის ნამუშევრების გაცნობა, დიფერენციაცია და შეფასება რთულიც იყო და პასუხსაგებიც, მაგრამ ჟიურის წევრებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ პროცესის სირთულეს.

დეტალებს აღარ გავყვებით, ძალიან ჩქარა, თითქმის ორ კვირაში შეიქმნა შესანიშნავი წიგნი ცისფერი ყდით, ყდაზე საქართველოს რუკის გამოსახულებით და სახელწოდებით, ულამაზესი შრიფტით შესრულებული დაუვიწყარი ციტატით „იქნებ ვაზია სამშობლო“, გარე, ბოლო ყდაზე კი ნოდარ დუმბაძის ასევე მრავლისმთქმელი ტექსტით: „იქნებ ვაზია სამშობლო? აბა დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია – ცაში ხელაპყრობილმა.

ორთავე საოცრად გავს ლოცვას, ლოცვა კი ისე არაფერს უხდება, როგორც სამშობლოს“.

წიგნში 128 ავტორია, საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნაწერების ავტორები – აბაშიდან, ადიგენიდან, ასპინძიდან, ახმეტიდან, ბათუმიდან, ბაღდადიდან, ბოლნისიდან, გარდაბნიდან, გორიდან, გურჯაანიდან, დმანისიდან, დუშეთიდან, ვანიდან, ზესტაფონიდან, ზუგდიდიდან, თბილისიდან, თეთრიწყაროდან, თელავიდან, თიანეთიდან, კასპიდან, ლაგოდეხიდან, ლენტეხიდან, მესტიიდან, რუსთავიდან, სამტრედიიდან, საჩხერედან, ტყიბულიდან, ფოთიდან, ქედადან, ქუთაისიდან, ქობულეთიდან, შუახევიდან, ჩოხატაურიდან, ცაგერიდან, წყალტუბოდან, ხარაგაულიდან, ხაშურიდან, ხობიდან, ხულოდან...

წიგნი საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატურთა კავშირის ეგიდით გამოვიდა და ეს წარწერა სატიტულო ფურცელზე ორ ენაზე შესრულდა, ქართულსა და ინგლისურ ენებზე. წიგნის პირველივე ფურცლებს ნოდარ დუმბაძის ღიმილიანი ფოტო

ამშვენებს. სატიტულო ფურცელზევეა გამოტანილი წარწერა „რუსთავი, აკადემიური ქალაქი, 2024 წელი“.

შესავალი წერილის ავტორი აკადემიკოსი, საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარე, თავად მწერალი და პოეტი გარი ჩაფიძეა, გამოცემის რედაქტორიც თავად გახლავთ, რედაქტორის მოადგილე პედაგოგი მაკა სამხარაძეა, მხატვრული რედაქტორი ნინო კაკიაშვილი, რედკოლეგიის წევრები ლია მარტაშვილი და ლეილა გეგეშიძე.

წიგნს ამშვენებს და ბევრ სათქმელს ეუბნება მკითხველს ნოდარ დუმბაძის ქალიშვილის, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორის, ქეთევან დუმბაძის მიერ დიდი სიყვარულით, სითბოთი და პასუხისმგებლობით დაწერილი შესავალი წერილი, რომლის პირველ აბზაცში წერია: „იქნებ ვაზია სამშობლო...“ ეს სიტყვები მთაწმინდაზე ნოდარ დუმბაძის საფლავის ქვაზე წერია. ბევრი არ მიფიქრია, რა უნდა დაწერილიყო მისი საფლავის ქვაზე, რადგან მიუხედავად მისი შემოქმედების ჰუმანურობისა, ამაზე გულწრფელი და ნაღდი, არაფერი მეგულება... „ძვირფასო ბავშვებო, თქვენი პატარა გულები დაე სავსე იყოს მადლიერებით, იმ ადამიანების მიმართ რომლებიც სიქველითა და მონდომებით, სიყვარულითა და შორსმჭვრეტელობით უმაგრებენ საფუძველს ჩვენი ერის მომავალს“.

წიგნის საჯარო პრეზენტაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 8 ივნისს გაიმართა. მოსწავლეებს, მშობლებს, პედაგოგებს 400 ადგილიანი სააქტო დარბაზი ნამდვილად ვერ იტევდა.

საგანგებოდ მოწყობილი სცენა ნოდარ დუმბაძის ღიმილიანი უშველებელი ფოტოთი თითქოს ცოცხლად ხვდებოდა და ესაუბრებოდა აუდიტორიას, გონიერ სცენარისტს და მხატვარს სცენაზე გაეცოცხლებინა ჭიგოს აყოლილი ვაზი მტევნებით, მწვანითა და ყვავილდამშვენებული სოფლური ორღობე, ქვევრ-მარანის ატრიბუტები და სხვა ყველაფერი ნოდარ დუმბაძის მშობლიურ სოფელს გვახსენებდა.

ღონისძიება ეზოში ქართული ცეკვის შესრულებით დაიწყო, მანამდე კი ეზოში გაჟღერებულ ქართული სახელმწიფოს ჰიმნს ყველა მონაწილემ ააყოლა ხმა. დარბაზში შესვლის შემდეგ აუდიტორიას წიგნის რედაქტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მიმართა: „სასახელო წინაპართა ცნობისა და გაცნობის გარეშე შეუძლებელია გვიყვარდეს აწმყო და მომავალზე ვფიქრობდეთ. თითოეული ჩვენგანის მაჯისცემა საქართველოს ბედთან უნდა იყოს გაიგივებული. სამშობლოს სიყვარულს სწავლა უნდა და ნოდარ დუმბაძე სწორედ ის მარადიული მოძღვარია, რომლის გარეშეც ეს სწავლა შეუძლებელი იქნებოდა“. იგი გულთბილად მიესალმა ღონისძიების მონაწილეებს და გამარჯვებაც მიულოცა, წიგნის რედაქტორს პედაგოგი მაკა სამხარაძე შეენაცვლა, მან ღირსეულად მოირგო ამ პასუხსაგები ღონისძიების წამყვანის როლი და აუდიტორიასთან ღიმილიანი კონტაქტით საოცრად თბილი ატმოსფერო შექმნა დარბაზში. დაიწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება, რასაც აკადემიური ქალაქის პედაგოგები უძღვებოდნენ ცალკ-ცალკე რაიონების მიხედვით.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ ჩვენთან საუბარში მშობლებმა მზევინარ არბოლიშვილმა (გურჯაანი), ნოდარ დიასამიძემ, (ბათუმი), მარიამ კაპანაძემ (თბილისი) და უამრავმა სხვამ განაცხადეს, რომ ასეთი კონკურსები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას სწავლის მიმართ და ახალგაზრდობას წიგნის სიყვარულს ასწავლის. ნოდარ დუმბაძის შემოქმედების შესწავლა კი, არა მხოლოდ მოზარდებისათვის, უფროსი ასაკის ადამიანებისთვისაც აუცილებელია. მისი ნაწარმოებებით თუ მის ნაწარმოებებზე შექმნილი ფილმებითა და სპექტაკლებით ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალობის უტყუარი ეპიზოდებია გადმოცემული. ამ ყველაფრის გარეშე ბევრი რამ დაგვაკლებოდა, დაე, ჩვენმა შვილებმა კარგად გაიგონ, ვინ იყო, არის და იქნება ნოდარ დუმბაძე.

კონკურსი დამთავრდა, კონკურსი გრძელდება. აკადემიურ ქალაქში ბევრზე ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება და იგეგმება. აქ, საგანმანათლებლო საქმის მესვეურთ კარგად ესმით, რომ ჰუმანიტარული საგნების და კერძოდ ქართული ლიტერატურის სწავლებისას განსაკუთრებული აქცენტი რომ უნდა ექცეოდეს დავიწყებული, დიახ, დიახ პატრიოტიზმის სწავლებას, თანაც ისე, რომ ილიას მიერ სამარადჟამოდ დაბარებული ანდერძი „მამული, ენა, სარწმუნოება“ სწავლა-აღზრდის ყოველდღიურ განუყრელ შემადგენელ ნაწილად იქცეს. დადგა ის დრო, როცა მშობლები – შვილებს, უფროსები – უმცროსებს, საზოგადოების ინტელექტუალური ფენა – ყველას უნდა ასწავლიდეს ჩვენი ერისა და მამულის დაფასებას, მოვლას, პატივისცემას, სიყვარულსა და ზრუნვას და როგორც დიდი ნიკო კეცხოველი იტყოდა, იმას, რომ სამშობლი მარტო ლამაზი მთები ან ლამაზი ველ-მინდვრები კი არა, სამშობლო თითოეული ჩვენგანია, მთელი ერია, რომელმაც დღემდე მოიტანა ამ პატარა ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, დღევანდელობას გაფრთხილება სჭირდება, სამშობლოზე ძვირფასი მართლა არაფერი გაგვაჩნია.

მიზანი მიღწეულია. ამ ღონისძიების ყველა მონაწილე, ექსპრესიით, პოზიტიური მუხტით სავსე წავიდა, თან საგზლად შესანიშნავ წიგნთან და სიგელთან ერთად ბევრი რამ გაიყოლა. ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მთელი ქალაქი დაათვალიერეს, ნახეს რუსთავის განახლებული ქუჩები და პარკები, შეხვდნენ რუსთაველებს და იწამეს, რომ აქ მშობლიური ქალაქის სიყვარული საქმითაა გაცხადებული, და რომ ქალაქის უნარიანი ხელმძღვანელობის კვალი ყველაფერს ატყვია. მადლიერებით სავსე მათ სახეებზე მასპინძლებთან ერთად იხატებოდა მოწონებისა და სიამაყის განცდა.

მოვლენისა და ფაქტის მონაწილეს, ისღა დამრჩა, დამესახელებინა ნაწერებისა და ნახატების გამარჯვებული ავტორები, მაგრამ საგაზეთე ფორმატის ნაწერისათვის ეს იმდენადაა შეუძლებელი, რამდენადაც ვერავის ნაწერს ვერ გამოარჩევს რიგიანი წამკითხველი. თითოეულ ნაწერსა და ნახატში მოსწავლეთა გულისძგერა და გულწრფელობაა ჩატეული, ისე რომ, ნოდარ დუმბაძე უკვდავია და იგი მოძღვარივით ისევ გვასწავლის, ისევ გვერდში გვიდგას და გვიქადაგებს საუკუნეებს გამოყოლილ სიბრძნეს – „ადამიანი სამშობლოთი იწყება“, და გამუდმებით გვკარნახობს საიქიოს მიღმიერიდან: „სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლით დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ. და კიდევ ერთი: შესაწირის მიტანა ვერავინ უნდა მიგვასწროს ამ ტაძართან“.

ამ ახლადგამოცემულ წიგნში შესული ყველა ბავშვის ნაწერი, უდაოდ, სამშობლოს საკურთხეველთან მიტანილ მოკრძალებულ შესაწირად უნდა ჩავთვალოთ.

ლია მარტაშვილი

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

(გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში

მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). დევნილებს მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.

ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-სს), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ომის მონაწილეების, 0-18 წლის ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვებისა და მოზარდების (სარეიტინგო ქულა 70 001 დან-150 000 ჩათვლით) მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება და დიაბეტით დაავადებული 0-18 წლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდების სახელმწიფო პროგრამის ზევით გლუკომეტრების შესაბამისი ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა.

აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული აუტიზმის მქონე ბავშვების (შემდგომში – ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, მოტორული, სოციალური განვითარების და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0-F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის მქონე ბავშვები, ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გათვალისწინებულია თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად. თვეში 20 საათის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს სეანსების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 12 სეანსი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია სეანსის ჩატარება ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ სეანსების რაოდენობა განაწილდეს შემდეგ თვეებზე. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

გამონაკლისს წარმოადგე-ნენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა. ასევე, თუ პროგრამით მოსარგებლე პირის მშობელს აქვს 2-წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ), ხოლო პროგრამით მოსარგებლე პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. გამონაკლისი ვრცელდება პირებზეც, რომლებიც იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და უფიქსირდებათ აქტიური რეგისტრაცია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (შემდგომში ბენეფიციარი) საზოგადოების ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიას განეკუთვნება გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის (ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები – R62, G80, Q90) მქონე ბავშვები (შემდგომში ბენეფიციარი). R62-ის შემთხვევაში ასაკი განისაზღვრება 0 დან 15 წლამდე, ხოლო G80 და Q90-ის შემთხვევაში 0-დან 18 წლამდე. ბენეფიციარი, რომელსაც დადგენილი აქვს ICD 10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი-R62 დაფინანსდება წლიურად არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით (თვეში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს არაუმეტეს 189.00 ლარს), ხოლო ბენეფიციარი, რომელსაც დადგენილი აქვს ICD 10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი-G80, Q90 დაფინანსდება წლიურად არაუმეტეს 1000.00 ლარის ოდენობით.

R62-ის შემთხვევაში, ბენეფიციარი არ უნდა იყოს ჩართული „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის" ან „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის" სახელმწიფო პროგრამებში. აღნიშნული პროგრამებით სარგებლობის შემთხვევაში(სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით) ბენეფიციარს მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან უწყდება ქვეპროგრამით დაფინანსება.

G80 დ Q90-ის შემთხვევაში, პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურებას. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.

დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა

აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. მოსარგებლე შეიძლება იყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებს გარეთ).

გამონაკლისი ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ელექტრონულ მონაცემთა ბოლო თვის ბაზის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით.

მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება

პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ქვეპროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების სადილით უზრუნველყოფა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ოთხ ლოკაციაზე არსებული უფასო სასადილოების ქსელის საშუალებით. უფასო სასადილოების მენიუს შემადგენლობას/არსებული შემადგენლობის განახლებას უზრუნველყოფს სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი, ნუტრიციოლოგის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე.

სარიტუალო მომსახურებები

პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილი

(გაგრძელება მე-6)

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე)

მეომრების, ქალაქ რუსთავში აღმოჩენილ არაიდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებად პირთა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე და მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახი/ები-ს წევრთა (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს) სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვას.

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დასაფარად გამოიყოფა გარდაცვლილზე 300,00 ლარი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მიზნობრივი ტრანსფერი.

იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი მიცვალებულების სარიტუალო (დაკრძალვის)ხარჯების დასაფარად, გამოიყოფა გარდაცვლილზე 200,00 ლარი, ხოლო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს) ოჯახის წევრთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯებისთვის გარდაცვლილზე 400,00 ლარი.

შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, ასევე მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება.

სოციალურად დაუცველ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

ვეტერანთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ სსიპ – ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში რეგისტრირებული და შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ვეტერანის მოწმობის (სტატუსის) ან/და მათთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირები, რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

სსიპ-იებისა და აარიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდეგი დაწესებულებების თანამშრომლები:

* რუსთავში რეგისტრირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
* ა(ა)იპ – ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება;
* ა(ა)იპ – რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ,,ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“;
* ა(ა)იპ – ,,გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“;
* ა(ა)იპ – ,,რუსთავის ისტორიული მუზეუმი“;
* ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,შეზღუდული შესაძ-ლებლობების მქონე პირთა ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“.
* ა(ა)იპ ,,რუსთავის კორპუსის” ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად, პირს უნდა ჰქონდეს ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

შშმ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონეპირებიდაასევეაღნიშნულისტატუსისმქონე 18 წლამდე ასაკის პირთა ერთი მშობელი(დედა ან მამა), რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი) ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

სტუდენტთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები, რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურების დაფარვა

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ რუსთავში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ):

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები;

ბ) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების;

გ) 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების;

დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები.

პროგრამა ითვალისწინებს კომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვას წლიურად, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.

სკოლა ეროვნული ტრადიციებითა და თანამედროვეობის განწყობით

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო რეფორმათა ცვალებადობის მიუხედავად, ყოველი ახალი მინისტრის მოსვლის ჟამს აღმოჩნდება ხოლმე, რომ კიდევ ბევრი რამის შეცვლა-გასწორებაა საჭირო იმისათვის, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში მხარი ვუსწოროთ ამერიკულ და ევროპულ განათლების სისტემას, ამ დარგის მიღწევებს, სწავლების პროცესში სასკოლო სახელმძღვანელოების შეცვლით დაწყებული და საგაკვეთილო პროცესების განახლებით დამთავრებული. მეორე მხრივ, უარი არ ვუთხრათ ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებსა თუ მიღწევებს და ამგვარი ძიებისა თუ მიგნებების ფონზე აღვზარდოთ თანამედროვეობის ღირსეული, განათლებული მოქალაქე, რომელიც საკაცობრიო იდეებით აღჭურვილი ერთდროულად ტოლერანტიც იქნება და ეროვნული ცნობიერებით მოაზროვნეც, ანუ ვაჟას მიერ მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში დაწერილი ერთი ცნობილი პუბლიცისტური წერილის პათოსს თუ დავისესხებთ, ქართველი ადამიანი, შესაბამისად მოზარდიც, ერთდროულად პატრიოტიც იქნება და კოსმოპოლიტიც, თავის ნიჭს ყველაფერს რომ მოახმარს სამშობლოსა თუ სამშობლოს გარეთ.

ამ გენიალური თემის ასე მარტივად გააზრებისა და ფორმულირების მიუხედავად, შევალამაზებთ თუ არ შევალამაზებთ, უკანასკნელ წლებში საქმე გვაქვს ფრიად სერიოზულ პრობლემებთან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ბევრ რამეში გამოიხატება და ჩამოთვლისათვის დაფიქრება ან გამოგონება არ დაგვჭირდება. კერძოდ, ძალზე გაუმართავი და ბოლომდე დაუხვეწავი სახელმძღვანელოები, თითქმის უგრამატიკოდ სწავლება ენისა ყველა კლასში, დიპლომმიღებული და სწავლა-განათლება მიღებული პედაგოგისათვის ტრენინგების ჩატარება დაუსრულებლად, მათ შორის ფასიანიც, პედაგოგთა თავის ატკიება გამოცდების ჩასაბარებლად და სტატუსის მოსაპოვებლად, ახალ-ახალი მოთხოვნები სასკოლო და საგნობრივ წრეებში, დაუსრულებელი შუალედური წერები ყველა საგანში და კიდევ ბევრი რამ... რომელსაც, რა გასაოცარიც არ უნდა იყოს და ახლა უკვე ხმამაღლა ამბობენ სპეციალისტები, სკოლა და მოსწავლე ბევრ შემთხვევაში სავალალო შედეგებამდე მიყავს, დიახ, ათას საზრუნავს გამოკიდებული სკოლა და მოსწავლე, არც მეტი, არც ნაკლები სკოლას ისე ამთავრებს, რომ სამომავლო არჩევანის გაკეთება უჭირს, ასწავლეს და ისწავლა, მაგრამ დასკვნა ვერ გაუკეთებია, რაში და როგორ გამოიყენოს ნასწავლი, რა გზას დაადგეს, რაში მდგომარეობს განათლების მიღების აუცილებლობის არჩევანი, ვინ უნდა გახდეს და როგორ გამოიყენოს თავის შესაძლებლობები პირადი თუ საქვეყნო მიზნებისათვის. ამგვარი დაბნეულობისა თუ გაუგებარი ყოფის შედეგი სულ ცოტა ხნის წინ აშკარად ვიხილეთ, როდესაც მოსწავლე-სტუდენტთა ერთმა დიდმა ნაწილმა აკადემიური ცოდნის მიღებისა თუ ღირსეული მოქალაქეობის მზაობის ადგილად ქუჩა აირჩია პოლიტიკის სახელით და ლამის მთელი თვე ქუჩაში გაატარა. ლექციები და

გაკვეთილები, გამოცდები — რა საჭიროას, ან სრულიად ზედმეტიას გუნდური შეფასებებით, თვითდამშვიდების განცდითაც, სწავლას ეშველება, განა რა ძნელი საქმეა, ატესტატსა და დიპლომს მაინც ავიღებთ. დიდი უმეტესობის მსოფლმხედველობა ასე გამოიხატა საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელთა, მშობლების და თვით მინისტრის დუმილის ფონზეც კი. ამ ვრცელი შესავლის შემდეგ, ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენმა ქალაქმა გვარიანად მტკიცედ გაუძლო პოლიტიკურ ვნებათაღელვას და სრულიად მშვიდად, გაწონასწორებულად მიიყვანა სასწავლო წელი დამთავრებამდე. მოსწავლე-მასწავლებლები — ადგილზე, სკოლების ადმინისტრაცია — მაქსიმალური მობილიზებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრი — ყურადღებით მართავდნენ სისტემას და ჩვენდა საბედნიეროდ, მაღალორგანიზებულ დონეზე ტარდებოდა გაკვეთილები სამივე საფეხურის კლასებში. ახლა უკვე კონკრეტულად შეიძლება შეჯამდეს ვინ, როგორ, რომელმა სკოლამ გაუძლო დროის ქარიშხალს, როგორ გადალახა დაბრკოლებები, რა გაიღო აღზრდა-განათლების მიმართულებით სასურველი შედეგების მისაღწევად, რით დაამახსოვრა თავი ბიოგრაფიულად მოსწავლეს.

ერთი, კერძო სკოლა „მზეკაბანი-2-ის“ მაგალითით გიამბობთ, როგორ განვლეთ 2023-2024 სასწავლო წელი ჩვენს საყვარელ პროფესიასთან, მოსწავლესთან და კოლეგებთან ერთად.

საუკეთესო პედაგოგიურმა კოლექტივმა თავის საქმეში გამოცდილი დირექტორის ბელა გოცირიძის ხელმძღვანელობით არც მეტი, არც ნაკლები, თავი ბრწყინვალედ გაართვა ყველაფერს აკადემიური მიღწევით დაწყებული და დამთავრებული შიდა სასკოლო პროცესების წარმატებით გადაწყვეტით.

შინაარსიანი ცხოვრება დიახაც ეროვნულ ცნობიერებაზე გათვლილი ღონისძიებებით სექტემბრის მეორე ნახევარშივე დაიწყო. პედაგოგმა მარინა ბარათაშვილმა თავის პირველკლასელებთან ერთად 27 სექტემბერს ულამაზესი ღონისძიება ჩაატარა. მოგვიანებით მთელ სკოლაში დაიწყო მზადება მორიგი ღონისძიებისათვის, კერძოდ, ჩატარდა ხელნაწერთა კონკურსი, მოსწავლეებმა ქართული პოეზიის ცნობილი ნაწარმოებები ხელით გადაწერეს და ერთმანეთს გაეჯიბრნენ ლამაზად წერაში. „ქართველი მკითხველი ევროპელ ავტორთა კვალდაკვალ“. ამ ღონისძიებაზე პედაგოგებმა ირმა ფაღავამ და ნათია ილარიანმა თავიანთ მოსწავლეებთან ერთად ორი ავტორი ჩარლზ დიკენსი და ბერთოლთ ბრეხტი წარმოადგინეს. „გვახსოვდეს აფხაზეთი“ ამ ღონისძიების შემოქმედი პედაგოგები ბელა ბედიაშვილი და თამარ ცნობილაძე იყვნენ. კედლის გაზეთებით, საგანგებოდ მომზადებული ფოტომასალით, დეკლამაციით მართლაც საინტერესო ღონისძიება ჩატარდა სკოლის სააქტო დარბაზში, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა. შიდა სასკოლო შეჯიბრი ჭადრაკში რომ ჩატარდა, გამარჯვებულები სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ. სექტემბრიდან მოყოლებული, წიგნიერების მასწავლებელმა ია მამუკაშვილმა მესამე კლასში, პედაგოგმა ია ჯინჭარაძემ - მათემატიკაში, საპროგრამო მასალის მოხმობით და მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გათვალისწინებით საინტერესო სანახაობრივი და შემეცნებითი ღონისძიებები ჩაატარეს. „შემოდგომამ დაიბუდა მზეკაბანის უბეში“— ამ შემოდგომურა მოსწავლემრავალ ღონისძიებაში პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით, ყველამ მიიღო მონაწილეობა, სკოლის ბიბლიოთეკარის ქეთევან გელაშვილის და მუსიკის მასწავლებლის მაია ჯანიაშვილის აქტიური მონაწილეობით. ღია გაკვეთილები ქართულ ენაში პედაგოგ კატო ბერაძის სადამრიგებლო კლასებში საჩვენებელ გაკვეთილებად იქცა.

ღონისძიებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, შესავალ ნაწილში სიტყვა შინაარსიანიც შემთხვევით არ გვიხსენებია, ერთი რამ ფაქტია, სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგიურმა კოლექტივმა, რომლის წევრები არიან: ლელა ჩაკვეტაძე, ნათია კოხტაშვილი, ნატალია დათაშვილი, ეკატერინე თაბუკაშვილი, ირმა ჩოხელი, ნანა ჯგუბურია, ლია ბასილაშვილი, ანნა დავითაძე, ანა ყოყოჩაშვილი, მზია ხიხალიშვილი, ია რუბაშვილი, მარიამ გოგსაძე, მაღალი გემოვნებით ჩატარებული ღონისძიებებით ეროვნული ჩანაფიქრის მიზნები შედეგად აქციეს, რამაც თითოეულ მოსწავლეს საგნობრივი თემების შესწავლა გაუადვილა და ცნობისმოყვარეობა აშკარად აუმაღლა. ეს ყველაფერი გუნდური, ძალიან შეთანხმებული მუშაობით. პედაგოგ-მოსწავლეთა ერთად დგომით, ღონისძიების შერჩევისას მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით და ყველას თვალწინ მოხდა ის, რომ ამ პატარა სკოლაში სხვადასხვა სკოლებიდან გადმოსულმა მოსწავლეებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებებში, პედაგოგებთან და მეგობრებთან გაჯიბრების სურვილით, სიძნელეთა დაძლევით, დარაზმულობით, უამრავი რამ მოსწავლეთა თვითინიციატივით გაკეთდა და ასეთ შემთხვევაში მშობელთა თანადგომაც აშკარად იყო გამოხატული. სააქტო დარბაზში გოგო-ბიჭების ემოციები ღონისძიებაზე სტუმრად წვეულთა აღფრთოვანებასაც იწვევდა და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ აქ მართლაც ეროვნული ცნობიერებით იზრდებიან მოსწავლეები, ისიც სათქმელია, რომ სკოლაში აზერბაიჯანული კონტიგენტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა ჩატარებულ ღონისძიებაში და თავადვე ცდილობენ ენობრივი ბარიერების დაძლევას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ სკოლის დირექტორს, ქართული საგანმანათლებლო სივრცის ერთერთ ცნობილ სახეს, რუსთავის საპატიო მოქალაქეს ბელა ჯანგიძე-გოცირიძეს, არც არასდროს აკლდა უნარი, სწორად და გონივრულად შეერჩია კადრები თავისი სადირექტორო სკოლისათვის, მაგრამ ახლა ასაკდაბრძენებულსა და უდიდესი გამოცდილების მქონეს, მართლაც პედაგოგთა შესანიშნავი კადრი ჰყავს სკოლაში, რაც საშუალებას აძლევს დირექტორს, გულსგაჩენილი ეროვნული ზრახვები სასწავლო-სააღმზრდელო გარემოში ნიჭიერ უმცროს კოლეგათა დახმარებით ისე განახორციელოს ყოველდღიურად, რომ ყველა მოსწავლემ იცოდეს სამი ღვთური ღირებულების ფასი — მამულის, ენისა და სარწმუნოების ფასი. დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვაძლევ თავს უფლებას, ხაზგასმით აღვნიშნო, სულხან საბას ლექსიკონიდან ასე უდიდესი რუდუნებით აღებული ქართული ულამაზესი სიტყვის „მზეკაბანის“ სახელი, ბელა ჯანგიძის სკოლას იმადაც მოერგო და რომ ამ ქართულ სკოლაში პირველ რიგში ქართული ცნობიერებით აღიზრდებიან მოსწავლეები.

სასწავლო წლის შედეგები კი ასეთია: არცერთ მოსწავლეს არცერთ საგანში არ გამოყოლია საშემოდგომო გამოცდა, არცერთ მოსწავლეს არ ჩაუდენია სასწავლო წლის განმავლობაში დანაშაული, არცერთი მშობელი არ წასულა სკოლიდან უკმაყოფილო. დაგვეთანხმებით, ამგვარი შედეგების მიღწევაა სწორედ ეროვნული მიზნის სამსახური სწავლა-აღზრდა რომ ქვია და პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ტრადიციების პატივისცემის გამოყენებას ისახავს მიზნად. ისიც სათქმელია, რომ მოზარდის აღზრდის ტრადიციულ სამკუთხედში ასეთი სკოლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ პიროვნების ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბების საქმეში. აქ დევიზი, „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“ ყველა მოსწავლეს გათავისებული აქვს.

ეროვნული ქართული ტრადიციებით თანამედროვე ქართული ცნობიერებით აღზრდა ქართველი მოზარდებისა, უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს საჯარო თუ კერძო სკოლებში.

ლია მარტაშვილი

ბედნიერი ვარ..

ბედნიერება და უბედურება და-ძმანი არიანო, უთქვამთ და არც არასოდეს დაეჭვებულა გონიერი ადამიანი ამ სიმართლეში, თუმცა, გააჩნია, საიდან, რა საზომიდან იწყება ათვლა ბედნიერებისაც და უბედურებისაც...

– საკუთარი შესაძლებლობებიდან, სურვილებიდან და ბრძოლის უნარიდან, მე ვიბრძოლე და გავიმარჯვე...

გაიცანით, არც თუ დალხინებულ ბედისწერასთანგაჯიბრებული 87 წლის ქალბატონი ზინიკო გრიშკაშვილი (შიოლაშვილი), დიახ, ჩვენი თანამოქალაქე, ღირსეული რუსთაველი, ძალიან საინტერესო დაულხინებული წარსული და ძალიან ბედნიერი აწმყოთი, ასეთ თანამოქალაქეებთნ შეხვედრაც ბევრ რამეს გვასწავლის, სხვა თუ არაფერს – ბედისწერასთან არდანებებას.

კახეთში, სოფელ ხოდაშენში დაბადებულმა ლამაზმა გოგონამ ცნობიერების პირველივე დღეებში გაიგო, რომ უბედურია, უმშობლო, უპატრონო. მამა ომში დაეღუპა, დედა, მშობიარობას გადაყვა. მოხუცი ბებოც მალე გარდაეცვალა და სოფელს შეფარებული ბავშვი სრულიად უმწეოდ დარჩა. 8 კლასი წვალებით, თანატოლთა მხარდაჭერით დაამთავრა და მერე რუსთავში წამოვიდა ბედის საძიებლად. გზად ავარია მოხდა, ავტომანქანა ამოტრიალდა, მგზავრთა ერთი ნაწილი ძლიერ დაშავდა, პატრონი ყველას გამოუჩნდა, უმძიმეს, უგონო მდგომარეობაში ზინიკოს კი, არავინ. სასწრაფოს ექიმმა მომაკვდავი საავადმყოფოში მიიყვანა, ძლიერ ტრავმირებულს, თავ-პირ დალეწილს, მარჯვენა ფეხის სასწრაფო ამპუტაცია დასჭირდა, სხვაგვარი უამრავი სამედიცინო დახმარებაც თავის არეში, მთელს სხეულზე. ექიმებსა და ექთნებს ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, გოგონა გონს ვერ მოდიოდა. არც იქ მყოფ ავადმყოფებს ეგონათ მისი გადარჩენა. და მოხდა ის, რასაც მეზღაპრენი ზეპირსიტყვიერად, წარმოდგენებით თხზავენ. ზინიკო საიქიოდან დაბრუნდა, შეხედა თავის თავს და ვეღარ იცნო, თავისი გაჩენის დღე ცრემლებით ჩამოიწმინდა და კითხვაც დააკონკრეტა, ასეთი მახინჯი და უბედური ვის ვჭირდები, მიღირს სიცოცხლე? კითხვა საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგაც დროდადრო მძლავრობდა და თავის მოკვლის ფიქრთან მიჰყავდა, მაგრამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისას ღვთის ხმა ეღობებოდა,

უფალი ნუგეშს, იმედს და დახმარებას ჰპირდებოდა. ინვალიდი ჯოხებზე ხელებდაბჯენილი ბავშვთა სახლში მიიღეს, მან იქვე მუშაობა დაიწყო მრეცხავად და ერთდროულად, წიგნების კითხვაც, სულიერ შვებას მხოლოდ წიგნებთან ურთიერთობა აძლევდა. ინვალიდის კვალობაზე სხვადასხვა საქმესაც სწავლობდა, კერვას, ქარგვას, ქსოვას და ყოველი ახალი დღის გათენებას საკუთარ თავში გაჩენილი რწმენით ხვდებოდა. უპატრონოს, უსახლ-კაროსა და ეულს სითბო-სიყვარულს ირგვლივმყოფნი სჩუქნიდნენ, მათი სახეები და სახელები დღემდე ახსოვს, მაგალითად, ნანა მესხისა, საბავშვო სახლის ხელმძღვანელისა, რომელიც გამუდმებით არწმუნებდა, რომ ყველა ტკივილისათვის უნდა გაეძლო, სიცოცხლისათვის ჯიუტად უნდა ებრძოლა და განახევრებული ჯანით პირველ რიგში ირგვლივ მყოფ ადამიანთა სითბო და ყურადღება დაეფასებინა.

ცოტა მოგვიანებით ინვალიდი გოგონა უსინათლოთა საზოგადოების სამსახურში გადაიყვანეს სამუშაოდ, საქმე დამჯდარს უნდა ეკეთებინა, ზინიკოს ხელმარჯვეობა და გონიერება მთელი კოლექტივის მისაბაძი გახდა. ინვალიდობის მწარე განცდებს, ფეხზე ყოველდღიურად პროთეზის მორგების მეორე მე და საკუთარ თავთან გაჯიბრების სურვილები შეენაცვლა, ოცნებაც, მე ბედნიერი ვიქნები, ისევ უნდა ვიბრძოლო. ორმაგ, სამმაგ ნორმებს ასრულებდა, აქვე ჰქონდა საცხოვრისი, თავისუფალ საათებში კერავდა, ქსოვდა, ქარგავდა, ეს ყველაფერი.

ზინიკო არც დღესაა უსაქმოდ. იგი ქსოვილების აპლიკაციაზე მუშაობს და ულამაზეს ნაქარგებს ქმნის. შვილებსაც ეხმარება, რაგვარადაც შეუძლია.

ფეხი? წარსულს ჩაბარდა, მთავარია, რომ სიცოცხლეზე გაიმარჯვა, ბედნიერია, შვილებს შეჰხარის და თავის მშვენიერ, ბედისწერასთან შეზრდილ მშობლიურ ქალაქს ესიყვარულება, ამ ქალაქით ამაყობს. – რომ არა რუსთავი, ალბათ ვერ გადავრჩებოდი, ამ ქალაქმა უამრავი ბედის ადამიანი შეიფარა. მინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, ვინც კი ოდესმე დახმარების ხელი გამომიწოდა და ჩემს შვილებს სითბო აგრძნობინა, ღმერთმა დალოცოს ყველა. ძალიან მიხარია, რომ დღეს რუსთავზე შეყვარებული მერი გვყავს, ვენაცვალე ქალბატონ ნინოს, მანქანით რომ გავივლი ხოლმე და ქალაქს შევხედავ, მიხარია, მორთული პატარძალივით გამოიყურება რუსთავი სიცოცხლე მიხარია, ჩემს სამუდამო სამყოფელს ამ ქალაქში დავიდებ...

ჯანმრთელობა, სიმშვიდე, ერთურთის სიყვარული არასოდეს მოგკლებოდეთ რუსთაველებო.

და ბოლოს, ამ მედგარ, ძალიან გონიერ ქალბატონს კიდევ ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ვუსურვოთ. ვპირდებით, რომ მის 100 წლის იუბილეს საგანგებოდ აღვნიშნავთ.

ლია მარტაშვილი

კიდევ ერთი ჯილდო - შემოქმედთ

ცნობილმა ქართველმა შემოქმედებმა, ჩვენმა თანამოქალაქეებმა პოეტმა მარინე ცხვედიაშვილმა და მხატვარმა ჯემალ კუხალაშვილმა მიმდინარე წლის იანვარში გამოცხადებულ საერთაშოროსო ლიტერატურულ კონკურსში, „წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიას“ სახელობის პროზა-პოეზიის საერთაშოროსო პრემია „ივერიას“ მოსაპოვებლად მონაწილეობა მიიღეს და მორიგი გამარჯვებაც მოიპოვეს. აღნიშნული კონკურსის შედეგების შეჯამება ობიექტურ მიზეზთა გამო დაგვიანდა და 9 ივნისს გამოცხადდა. ცნობილ პოეტს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს, დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედლის შემოქმედს, საუკეთესო პროზაული ნაწერისათვის ამჯერად პრემია „ივერიელიც“ მიენიჭა და ჯილდო დედაქალაქში ხალხმრავალ შეკრებაზე საზეიმოდ გადაეცა.

კონკურსის გენერალური სპონსორი და პარტნიორი საქართველოს საპატრიარქოა.

ამ კონკურსში პოეტური ნაწარმოებებით მონაწილე ცნობილ ქართველ მხატვარს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ჯემალ კუხალაშვილს, ანალოგიური ჯილდო ხვდა წილად თანამედროვეობაზე შექმნილი ფრიად საინტერესო პოეტური ნაწერებისათვის. ორივე შემოქმედს მიაჩნია, რომ ამჯერად მიღებული ჯილდო სიმბოლურად ერის სულიერი მამის სახელს რომ უკავშირდება, საპატიოა და არა მხოლოდ სიხარულს იწვევს, არამედ იმ განცდასაც, რომ მშობლიურ ქვეყანას კალმით, სიტყვით შეაშველონ უდიდესი სიყვარული ერის დაფასებისა და გადარჩენისათვის, მისი შემდგომი კეთილდღეობისა და აღმასვლისათვის.

კაფე „კოგნიტო“ საინტერესო სტუმარ-მასპინძლებით

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩვენს ქალაქში ცნობილი მე-13 თვის პოეტებად სახელდებულ შემოქმედთა ოცნება ასრულდა და ცენტრალურ პროსპექტზე ლიტერატურული კაფე სახელწოდებით „კოგნიტო“ გაიხსნა. ამ წამოწყების ავტორი და საქმის დამგვირგვინებელი თავად ნიჭიერი შემოქმედი, ქალაქის საკრებულოს წევრი, პედაგოგი ამირან ჯანჯღავაა, ის, ვისაც ბოლო წლებში რუსთაველი ახალგაზრდებიდან ყველაზე თამამად შეუძლია თავი მოიწონოს მშობლიურ ქალაქში კეთილ საქმეთა პრაქტიკული განხორციელებით.

პოეტთა ოცნების ასრულებით განსაკუთრებულ სიხარულს აწ უკვე ჩვენგან მარადისობაში გადასული შესანიშნავი პიროვნებისა დ პოეტის ოთო გურგენიშვილის დედა, ქალბატონი ნანა მათუზაშვილი განიცდის. იგი ამ კაფეში ჩატარებულ ყოველ ლიტერატურულ ღონისძიებას თავის საყვარელ შვილიშვილთან ერთად ესწრება და როგორც თვითონ ამბობს, თითქოს საკუთარი შვილი უცოცხლდება.

აქ უკვე გაიმართა პოეტების მარინე ცხვედიაშვილის, ედუარდ უგულავას, გიორგი არჩემაშვილის, ზვიად ბახუტაშვილის, ია სულაბერიძის შემოქმედებითი საღამოები. ასეთი შეხვედრები, ხატოვნად თუ ვიტყვით, ლიტერატურისმოყვარულთ არა მხოლოდ ერთამანეთთან, არამედ საკუთარ თავთანაც გვაბრუნებს, რათა კიდევ ერთხელ გავითავისოთ ის სიხარული და ტკივილები, რითაც მოვდივართ ჩვენს ქალაქში სხვადასხვა თაობის მწერალ-პოეტები და რის გამოც ასე ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და რუსთავი.

ზევით აღნიშნულ ყველა პოეტთან შეხვედრა ამ ლიტერატურული კაფის კამერულ გარემოში საოცრად ამაღლებული, საინტერესო და ნამდვილად რომანტიულ-პოეტური იყო, ისიც სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ია სულაბერიძის მშვენიერ პოეტურ საიუბილეო საღამო ოთო გურგენიშვილის მცირეწლოვანი გოგონასათვის დაბადების დღის საზეიმო აღნიშვნად იქცა. საყვარელმა ბებიამ, ლექსებით მიულოცა მას დაბადების დღე.

ლია მარტაშვილი

ქართული სიმღერის ზეიმზე

საქართველოს განათლების სამინისტროს, ჩვენი ქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით 27-30 მაისს რუსთავის ოთხ საჯარო სკოლაში (მე-2, მე-4, მე-11, მე-18) ჩატარდა ქართული ხალხური მუსიკის ლექცია-კონცერტები.

პროექტი „ქართული ტრადიციული სიმღერა რუსთაველი მოსწავლეებისათვის“ მიზნად ისახავს ქართული ხალხურის სიმღერებისა და საგალობლების პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროექტის განხორციელება წილად ხვდა რუსთაველთათვის კარაგად ცნობილ, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს „მე რუსთველი“, რომლის შემადგენლობაში არიან პროფესიული მუსიკოსები, ანსამბლის უცვლელი ხელმძღვანელია ნუგზარ არველაძე.

ამჯერად, ლექცია-კონცერტი ჩატარდა მე-4 საჯარო სკოლაში. ღონისძიებას უძღვებოდა ნიჭიერი მუსიკოსი გიორგი კილაძე. მან მოკლედ მიმოიხილა ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების ისტორია, რომელიც ქართველმა ერმა დიდი რუდუნებით ჩვენამდე მოიტანა. გაიხსენა გამოჩენილი ადამიანების სენტენციები ქართული პოლიფონიური მუსიკის შესახებ. აღნიშნა, რომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო მუსიკის დედოფლადაა აღიარებული და რომ, ჩვენი თაობა უნდა აღიზარდოს ქართულ მუსიკაზე. შემდეგ ისაუბრა ანსამბლის 25-წლიანი ისტორიის შესახებ. ამ ხნის მანძილზე ანსამბლმა არაერთი კონცერტი შესთავაზა ქართველ და უცხოელ მსმენელს. ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა აშშ-ში, კერძოდ, სან-ფრანცისკოში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გერმანიაში, ავსტრიაში, სომხეთში, ყაზახეთში და სხვაგან, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

ანსამბლს გამოცემული აქვს 2 კომპაქტდისკი. პირველში შესულია ქართული საგალობლები, მეორეში – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები.

კონცერტი დაიწყო ქართული ტკბილხმოვანი საგალობლით „აღდგომას შენსა“. საგალობლების შემდეგ ანსამბლმა მსმენელს შესთავაზა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერები. ანსამბლში მოქმედმა ხალხური საკრავების ტრიომ შეასრულა „ცეკვა ქართული“ ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“, ასევე სახასიათო ნაწარმოები „ტაშფანდურა“.

მოსწავლეები ოვაციებით ხვდებოდნენ ყოველი ნომრის შესრულებას, ბოლო სიმღერის დროს კი თვითონაც მიიღეს მონაწილეობა ცეკვა „აჭარულის“ შესრულებით.

დასასრულს, სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლია ჟღარკავამ მადლობა გადაუხადა ანსამბლის წევრებს მაღალი დონის შესრულებისათვის და აღნიშნა, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობას ქართული ხალხური მუსიკით დაინტერესებაში.

აღნიშნული ლექცია-კონცერტი ოქტომბერში კიდევ ოთხ საჯარო სკოლაში გაიმართება.

ალმარ ლომიძე

თბილისის მწერალთა სახლმა რუსთაველ მწერლებს უმასპინძლა

— მტკვარი იმიტომ არის დიდი და წყალუხვი დედამდინარე, რომ მას მრავალი შენაკადი აქვს... ასეა ქართული მწერლობაც. ქართველ მწერლობას ერთვის, ამრავალფეროვნებს და კიდევაც ამდიდრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ქალაქებსა თუ რაიონებში მცხოვრები მწერლების შემოქმედება. ქართველი მწერლების, ლიტერატურის ერთ-ერთ საყურადღებო ნაკადად მიმაჩნია ქალაქ რუსთავში მცხოვრები პოეტების, პროზაიკოსების მხატვრული შემოქმედება. დღეს რუსთაველ მწერლებს სიხარულით ვმასპინძლობთ დედაქალაქში, მწერალთა სახლში! — ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ერეკლე საღლიანს, ვინც სიტყვით მიმართა მწერალთა სახლში შეკრებილ თბილისელსა და რუსთაველ მწერლებს.

იმ დღეს რუსთაველი მწერლები თბილისის მწერალთა სახლს სტუმრობდნენ. ეს შეხვედრა დიახაც, ბევრი რამით იყო მნიშვნელოვანი, სასიხარულო და საამაყო სტუმრებისთვისაც და მასპინძლებისთვისაც.

სტუმარ კოლეგებს მიესალმა და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. შემდეგ მაყვალა გონაშვილმა, რევაზ მიშველაძემ, ერეკლე საღლიანმა, სოსო სიგუამ, ბადრი ქუთათელაძემ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობის ბილეთები საზეიმოდ გადასცეს რუსთაველ პოეტებს: მარინა იმნაიშვილს, ნელი მანჩხაშვილს, მაია მინდელს, პროზაიკოსებს: მაია მაისურაძეს, ნათელა ეპიტაშვილ-დურგლიშვილს, აგრეთვე ალმარ ლომიძეს.

გაიმართა რუსთაველ მწერალთა დაჯილდოება. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრმა ბაღათერ არაბულმა, მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ, მწერლებმა: ვანო ჩხიკვაძემ, ზაალ ბოტკოველმა, გელა სულაძემ ნაყოფიერი შემოქმედებისთვის თამარ მეფის ჯვარი და ენდალმა გადასცეს თინათინ სიყმაშვილს, მაია რაზმეძეს, ლია მარტაშვილს, ლალი მჭერლიძეს, ლია ბეჟანიშვილს, ნანა ყალიჩავას, ლამზირა შეყილაძეს, ცირა ბულაშვილს.

„ქართული კულტურის დესპანის“ სიგელით დაჯილდოვდნენ ამირან ჯანჯღავა, გურამ ლაცაბიძე. „ქართული კულტურის ამაგდარის“ სიგელით დაჯილდოვდა გიგა(გრიგოლ) ვეფხვაძე.

არც ემიგრაციაში მყოფი რუსთაველი პოეტები დარჩნენ უყურადღებოდ. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკი დედისათვის გადასაცემად გადაეცა ნანა გაბელაიას ვაჟს, დავით გაბელაიას, თამარ მეფის ჯვარით და ენდალმით დაჯილდოვდა ასევე ემიგრანტი თამარ ჯაჭვაძე.

დასასრულს მასპინძლებმა რუსთაველ მწერლებს ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.

თინათინ სიყმაშვილი

პატარა ნინოს დიდი წარმატება

გვინდა გაგაცნოთ რუსთაველი წარმატებული სპორტსმენი, 14 წლის მოცურავე ნინო სადაღაშვილი, რომელიც №4 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. ნინო ხუთი წელია ცურვითაა დაკავებული და უკვე ოცი მედალი აქვს მოპოვებული, აქედან ოთხი ოქროსი. მისი მწრთვნელია ნოდარ მარგველაშვილი, რომელმაც თავიდანვე აღმოაჩინა გოგონაში დიდი პოტენციალი.

2023 წლის 8-9 ივნისს ბათუმში საცურაო არენა „მარინაში” ჩატარდა აჭარის ღია კარის პირველობა 2010-2011 წლიანთა კატეგორიაში, სადაც ნინო სადაღაშვილი პირველ ადგილზე გავიდა.

ჩვენი ნიჭიერი მოზარდი 2025 წელს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე წასასვლელად ემზადება, ვუსურვოთ მას ამ ჩემპიონატზეც გამარჯვება და წარმატებული მომავალი.

გამოსათხოვარი

გია პაპავა

დამშვიდობება მეგობართან



გია პაპავას, სხვა მრავალ კარგ თვისებასთან ერთად, ერთი განსაკუთრებულად გამორჩეული თვისება გააჩნდა — ყველაზე რთულ სიტუაციას ისე შეგიმსუბუქებდა, ისე მარტივად დაგიხატავდა ყველაფერს, რომ დაუჯერებელსაც კი სასურველ სინამდვილედ აღიქვამდი.

ამიტომაც მის გვერდით თავს კომფორტულად გრძნობდნენ არა მარტო მისი მეგობრები, არამედ უბრალო ნაცნობებიც კი.

ასეთ ადამიანს პოზიტიურ პიროვნებას უწოდებენ. ამიტომაც ჰყავდა უამრავი მეგობარი, სანაცნობო წრე. იყო ნიჭიერი პოეტი, ნიჭიერი ჟურნალისტი. მრავალი წელი მოღვაწეობდა გაზეთ „რუსთავის“ რედაქციაში და იმავდროულად ახალგაზრდა ჟურნალისტების აღზრდაშიც შეიტანა დიდი წვლილი — რუსთავში ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა „ახალგაზრდა ჟურნალისტთა სკოლა“. უზომოდ უყვარდა რუსთავი. თავს ყოველთვის ძირძველ რუსთაველად თვლიდა.

მოულოდნელი და გულდასაწყვეტი იყო მისი წასვლა ამქვეყნიდან. საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, კოლეგა და თავისი ქვეყნის პატრიოტი — ასეთად დარჩება გია პაპავა ახლობლების და მეგობრების ხსოვნაში.

გაზეთ „რუსთავის“ რედაქცია

განცხადებები, რეკლამა, განცხადებები

გაპატარე ზაფხული
ბრილად

ავტომანქანების
კონდიციონერების
შეკეთება და
დატუმბვა
უმოკლეს დროში და
მისაღებ ფასად!
ტელ: 551 56 12 12 გაგა

ვიბრირებ
მატელიტურას
ძაღლ ფასში

გაზეთი, რვეული,
ჟურნალი, წიგნი,
ფორმატის (ქსეროქსის)
ქაღალდი

მისამართი:
მესხიშვილის მე-2 გასასვლელის №4-თან (ავტოსადგომის ტერიტორია) 10-დან 19 სთ-მდე
ტელ: 579 808-818

ავეჯის და
ნებისმიერი
ტვირთის
გადაზიდვა
საქართველოს
ნებისმიერი
მიმართულებით.

ტელ: 599 62 33 03

ამ დღეებში, ისე როგორც მთელი საქართველო, რუსთავიც ფეხბურთით ცხოვრობს!

რუსთავის პარკში ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე თამაშიც და მაყურებლთა განცდებიც სულ სხვაა!...

საქართველოს ნაკრებმა ლამაზი ფეხბურთით მაყურებელის გული მოიგო

შპს „გაზეთი რუსთავი“
რუსთავი
დირექტორი
ლერი ბარათელი
რედაქტორი
თემურ კობახიძე
გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
599 233-390, 599 908-918
e-mail:gazetirustavi@gmail.com
მისამართი:
რუსთავი, მეგობრობის 32,
სასტუმრო „რუსთავი“,
მე-2 სართული